



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოცის ცუთაბათობით

ფასი 1 ლარი

ხელის მომრა: ტფილის, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიომების სახლების ზემოდ. № 5  
ქუთაის, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად... 6 მან. —  
თითო ნომერი ..... — 15 კაბ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს  
დასაბუღდათ გამოგზავნილ წერილებს.  
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. მეორე ხანა აწინდელის  
ომიანობისა. — II. საქართველოს მატიანე. — III.  
ომის ამბები. — IV. საპოლიტიკო მიმოხილვა. — V.  
თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის  
სამდგრელოთ ერილობა თელავში 1875—1877 წ. — VI.  
ისტორიული სიგელნი. — VII. განცხადება.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“  
პირველის მარიამობისთვიდამ პირველს მომავალს  
იანვრამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

### მეორე ხანა აწინდელის ომიანობისა

ომის დაწესებითვე რუსეთის საქმე, როგორც  
მოვეხსენებათ, მალიან ქარგად წავიდა როგორც  
მცირე აზიის საომარ ველზე, აგრეთვე ბალკანის  
ნახევარ კუნძულზე. კავკასიის მხედრობას ცოტადა  
უკლია არზრუმამდე; დუნაიის მხედრობაც თითქმის  
აღიანობოდა მიადგა მაგრამ მოვიდა ქამი, ბედი  
გადატრიალდა და ომიანობის სურათი სრულიად  
შეიცვალა, ზიუნიის ომმა იმულებულ გახადა  
კავკასიის მხედრობა უკან დაწესებით და არამც თუ  
იმ ადგილამდე მისულიერ, საიდამაც დაიწერ თავისი  
მსელელობა, არამედ ამ მხედრობის ერთი ნაწილი  
ჯარი (დენ. ტერგუპასოვისა) საზღვრის შიგნით  
უნდა შემოსულიერ. ამ ნაწილს მისი მონირდაშირე  
ოსმალოს ჯარიც თან მოჰკვა და ერევნის გუბერნიაში  
შემოდგა უქნი. შლევნასთან რომ ჩვენებმა ვერ  
გაიმარჯვეს. ამასაც ის მოჰკვა, რომ რუსის ჯარს  
იქაც უკან უნდა დაეწია, თუმცა ბალკანიის მთის იქით

გადასული იყო. ამ ჯარმა დასტოუა ენიზაგრა, ესკი-  
ზაგრა, კაზანლიკი ად ხს. და ისევ ბალკანიის მთის  
მის მიადგა და აქ გამაგრდა, სახელდობრ, შიბკას და  
სხვა ადგილებში.

რად შეიცვალა ომის სურათი და რა შეღეგი მოჰკვა  
ამ შეცვლას? ეს კითხვა ღირს შესანიშნავია და მის  
შახებად მოვახსენებთ მხოლოდ იმას რაც სხვა,  
მეტადრე რუსეთის, გაზეთებში თქმულა. ომიანობის  
დასაწესშივე თითქმის უკელა დარწმუნებული იყო,  
რომ ოსმალებთან ბრძოლაზედ ადგილი არ არის  
რა მეტადრე იმისთვანა ძლიერ სახელმწიფოსათვის,  
როგორც რუსეთია. ამიტომ უკელა ადგილად  
უკერებდა ატესილს ომს და დარწმუნებული იყო,  
რომ სამი-ოთხი თვე საქმაო იქნება ოსმალეთის  
სულის ამოხდისათვის. „ოსმალო შშიშარა არისო  
და თვითონ თავისთვად მნელად დაეცემათ მტერს.  
მისი ძალა მხოლოდ იმ ციხე-სიმაგრეებშია და  
მთა კლდეებში. სადაც თავს შეიფარავს ხოლმეო  
და უცდის მტრის მოდგომასაო. ამიტომ მტერმა  
თუ გზა აუხვია და ამ სიმაგრეებს ასცილდა, მაშინ  
ოსმალებს მნელი საქმე მოუვათო, მით უფრო რომ  
ოსმალო მალე ჰერიგავს სასოფასაო. უკელა ამ  
მიზეზთა გამო ოსმალეთის დამარცხებისათვის  
სისწრაფისა და უკერად დაცემის მეტი სხვა  
არაფერი არ არის საჭირო.“ ასე ფიქრობდნენ  
მეთქი ომის დასაწესშივე და თითქმის ამ აზრის  
მიხედვითაც მიმდინარეობდა ომის საქმე. შირველი  
მოთხოვნილება, როგორც მოვეხსენებათ, ამაში  
მდგომარეობს, რომ წინ მომრავი ჯარი დაცელი  
უნდა იყოს ორიგე გვერდით და შეუწევებელი

მიმოსვლა უნდა ჰქონდეს უმთავრესს ჯართან. ამ მოთხოვნილებას, არა დასდიეს რა და საკვირველის აჩქარებით მიშმართეს ბალგანიის მთებს, გადავიდნენ ამ მთებსაც და ამის გამო რუსის ჯარი მეტად გაიშალა უნდა მოგახსენოთ, რომ უმთავრესი ეურადღება ბალგანის ნახევარ კუნძულზედ არის მიქვეული, რადგანაც ამ ომიანობის დედა-მარწვი იქ მდებარებს, და ჩვენს დუნაიის მხედრობას ვიქონიებთ სახეში, მით უფრო რომ ეგრონისა და მცირე აზიის საომარ ველზედ ერთგვარი შეცდომა მოხდა. ზემოსხენებულს აჩქარებას ის შედეგი მოჰყავა, რომ რუსის მხედრობის მემარჯვენე ჯარს მოულოდნელი ჯარი დაუხვდა თსმან-ფაშისა. ამით მთის იქით გარდასულს ჯარსაც შიში მიეცა, რადგანაც ოსმან-ფაშას შეემლო მისთვის გზა გადაქრია და ბალგანის მთებში გაეფანტნა რუსის ჯარი. ოსმან-ფაშის გამარჯვებამ ცხადად დაანახა რუსის მხედრობას მისი საშიში მდგომარეობა და ის შეცდომა, რომელიც თავიდგანვე მოუხდათ რუსებს.

მართლა და საკვირველი სიმძლავრე და სიცხოველე გამოიჩინა თსმალეთმა; მშენიერი იარაღი, უშველებელი ჯარი და მოულოდნელი შედგრობა დაახვედრა მტერს. ვინ მოიფიქრებდა, რომ ოსმალეთის დენერლები, რომელთ უნიჭობაზედ და უცოდინაობაზედ იმდენი რამ იქმ თქმული, საქმაო ხერხს და მოსაზრებას გამოიჩენდნენ? სადღაა ის თსმალეთი, რომლის სამოცი ათასი ჯარი, კარგად დაიარადებული ვერ ასდიოდა თექვსმეტ ათასს რუსის ჯარს, ისიც უსეირო იარაღით აღჭრვილს? ზემოდ მოგახსენეთ, რომ ოსმალომ არ იცის თავისთავად მტერზედ დაუცემაო, ეხლ არც ეს არის: ამას გვიმტინებს სულიმან-ფაშა, რომელიც შიბგას დაუცა და უოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ განვითნოს რუსის ჯარი ამ ბალგანიის მთის უმთავრესის გარდასავლიდამ.

თსმალეთის მოულოდნელს ხერხიანობას და მედგრობას ორგვარი შედეგი მოჰყავა: სამხედრო და საპოლიტიკო წინაპირებელად სამხედრო საქმის მიმართულება რუსების ხელში იქმ; თსმალეთის მოქმედება რუსის ჯარის მომრაობაზედ იქმ დამოკიდებული, რა ალაგასაც უნდოდა რუსის ჯარს, იქ გაუმართავდა ომსა. მაგრამ ეხლა კი საქმე — იმედი ვიქონიოთ, რომ დროებით—სრულიად უბუღმად წაგიდა. ეხლა პირ იქით რუსეთის ჯარშა თვისი მოძრაობა თსმალოს ჯარის მოქმედობის მიხედვით უნდა მიმართოს. გარდა ამ უმთავრესის შედეგისა

სხვაც მოჰყავა. რუსის ჯარს ჯერ-ჯერობით შირველს ხანს დიდი დაბრკოლება არ დაუხვდა თსმალოს მხრით; ამის გამო რუსები დარწმუნებული იქმნენ თსმალოს უძლუროებაზედ და დიდ მანძილზედ შევიდნენ თსმალეთის ქვევანაში. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა რომ, ოსმალებს წინადვე ჰქონიათ ეს გაანგარიშებული. რუსის ჯარი იმულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიერ, — მართალია დროებით, მაგრამ მაინც ამოდენა დრომ, მეცნადინეობამ და მალამ თითქმის უქმად ჩაიარა.

ახლა სხვა გვარ შედეგს დავხედოთ. ჯერ წარმოგიდგინოთ იმ ადგილთა მცხოვრებინი ქრისტიანი, რომელიც ჯერ რუსებმა დაიჭირეს და მერე კი ხელმეორედ თსმალებს ჩაუვარდათ ხელში. რაღა თქმა უნდა, რომ გაბრაზებულნი თსმალები ჯავრს იურიან იმ მცხოვრებლებზედა, რომელიც გადუდგნენ მათ და რუსებს მიეტხრნენ, როცა რუსის ჯარი მდევა-მოსილობით შევიდა ბოლგარიაში.

მნელი წარმოსადგენია ის უბედურება, რომელიც, მავალითად, კაზანლიკისა, უნიზაგრისა, ეს კიზაგრისა და სხვა ადგილთა მცხოვრებთა თავს გადახდათ, როცა რუსის ჯარი ამ ადგილებიდამ გამოვიდა და უკან დაბრუნდა.

გარდა ამისა ამ გვარ საქმეთა გარემოებას საკუთრივ საპოლიტიკო შედეგი იქ მოჰყავა. რუსეთს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მტერი და მოშურნე ჰქავს. უოველი შეცდომა, უოველი წაბორმიერება რუსეთისა ამ მტერთათვის მეტად გასახარებია. ეგროშიის დილომატიადარწმუნებულია, რომბოლოსდაბოლოს მარტო ოსმალეთი ვერ აუგა რუსეთს, მაგრამ მეორეს მხრით აგრეთვე დარწმუნებულია, რომ რამდენადაც რუსეთს ოსმალო გაუსწორებს ომსა, იმდენად რუსეთს ნაკლები ერგება საქმის დაბოლოების დროს. იქნება ამის გამოც ცოტად თუ ბევრად შესწევა ის მუქარა, რომელიც აქამდისინ იხმოდა, მაგალითებრ, ინგლისიდამ ად აფხტირიდამ. თუ ასე, მაშინ ადგილი გასაგებია ის აწინდელი პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმის შესახებ, რომელიც ეხლა მიმდინარეობს ეგროშიის სახელმწიფოთა შორის და რომელზედაც ბევრი თქმულა „ივერიაში“.

ეხლა კი საქმე ჩვენი კარგად წაგიდეს, რადგანაც მთავრობა დიდ-მალს ჯარს თავს-უერის ბალგანიის კუნძულზედ და იმედია რომ ამ მოკლე ხანში ამ ახალის დაწერაბილებას გამარჯვება მოჰყავა.

საქართველოს მატიანე  
(„ივერიის“ კორრესპონდენციები)

„ივერიის“ № 25-ში დაბუჭილი იქო მცირედი წნობა მასზედ რომ სამს ოსმალოს რუსის სალდათის ტანისამოსით კახეთი გაუვლია და ლექებში გადასულან. ამ საგანზედ ეხლა რასა გვწერენ:

„ამ მოკლეს ხანძი, რუსის სალდათის მაგგარათ ჩაცმული, სამი ოსმალო გადავიდა თურმე ლექებში. დიდოში. ზირველათ ისინი ენახათ ახატელში (თათრის სოფელია თელავის მაზრისა). ერთს იმათგანს, თურმე რუსული სცოდნოდა, — დანარჩენი სულ-გატრუნული თურმე იუვნენ. რა მისულიუვნენ ახატელში მოქმედნათ თოფები, დაწულოთ წესიერათ, — მოეთხოვნათ მამასახლისი და ვთქვათ: „ხდალ რუსის ჯარი მოვა და სურსათ მომზადეთო.“ იქმნება სხვაც ბევრი რამ ვთქვათ, — მაგრამ ვერ გავიგეთ. აბა ახატლური თათრები რას გასცემდნენ? მეორე დღეს გასულიუვნენ ნაფარეველში. იქიდამ მემცხარეებს ესტუმრნენ, ერთი დამე ნაფარეველის მთაში—მემცხარეებთან დარჩომილიუვნენ და შემდეგ გადასულიუვნენ დიდოში. რასაკვირველია საკეთილო საქმისათვის არ იუვნენ ისინი მოსულნი, მაგრამ საოცარი არის, ის რომ ამოდენა გზა ასე მშვიდობიანათ გამოიარეს, — გუშაგები და ეარაულები კი უკედგანა დგანან მგონია. ამ დღეებში შავიტემთ რომ ვითომც ხიტრა ხოლოებს (დიდოელების სოფელია) იმათი დაჭრა დაეპირებინათ, — გასძალიანებოდნენ, და გაქცეულიუვნენ ხიტრა ხოლოები დასდევნებოდნენ, დაქცირათ, მაგრამ ამ ამბავში ორი ლეკი მოქედათ, ერთი ოსმალოთაგანი გაქცეულიურ, ორი კი დატერათ. დრო არის თვალები გაახილოს იმათ, რომელთაც საეპარაულო ადგილები ჩაბარებულებია აქვთ. ეს ამბავი ზირველი არ არის, — წინათაც მომხდარიელ. ეს ოსმალების ხოფტები თურმე იუვნენ შამილის შვილის ჯარიდამ.

ჭიროელი.

**რაჭა.** რისაც გაეშინოდა, კიდეც ასრულდა. ომის გამსქანებელ-შემნახველი ამხანაგობის რჩევასა და გამგებლობას შორის მოხდა უთანხმოება. ჩვენ არ ვიცით მიზეზები უთანხმოებისა. ეს კი ცხადი შეიქნა უველასათვის, რომ უფრო ხერჭატოვებიმ,

თავმჯდომარემ რჩევისამ, შეიტანა გამგებლობაში თხოვნა, რომ მას აღარ სურს დარჩეს ამ თანამდებობის აღმასრულებლად. ამ გარემოებას არა ვითარი მნიშვნელობა არ ექვნებოდა, რომ მომხდარიელს ერთს ან ორ წელიწადს შემდეგ. ეხლა კი სულ სხვაა. ეხლა როდესაც ამხანაგობის აღებ-მიცემობა ჯერ აქამოდე ათას მსჯოთამდისა ვერ მისწეულა და თვით ამხანაგობას ჯერ ნდობა არ მოუპოვებია გლეხთავან, წესები საქმის წარმოებისა არც გამორკვეულა, არც შედგენილა გამგებლობისგან და არც დამტკიცებულა რჩევისაგან, ერთის სიტევით, მაშინ როდესაც ამხანაგობა თითქმის ზირველ შობის დღეშია და ფეხის ადგმას ააირებს, მაშინ უთანხმოება და მეტადრე იმისთანა, რომელსაც შედეგ ათ მოსდევს თავმჯდომარეს სამსახურიდამ გამოსულა— საშიშარია ამხანაგობის მომავლისათვის ჩვენ ძალიან გვკირბოთ, რათ მიიღო უფ. სერჭატოვებები წინეთვე ანუ დასაწეისვე მონაწილეობა, თუ ეს ჰსწადოდა. კრება ამ თხოვნის მოსახმენლად იურ დანიმნული 7 აგვისტოს და გადიდვა 14-სათვის, რადგან არც თავმჯდომარის თანაშემწერე დაესწრო. ეხლა ამხანაგობას აქვს დიდი იმედი მამა ალექსი გიორგი თავისი გიორგი ანისი, რომ მას არ ასცილდეს თავმჯდომარეობა და იმედიც გვაქვს, რომ საქმე ასე გათავდება. დაარსების დროსაც და მერეც მამა ალექსიმ აღმოუჩინა ამხანაგობას დიდი თანაგრძნობა; მარტო ის რათ უდირდა ამხანაგობას, რომ მან მაშინ, როდესაც გამგებლობამ არ იცოდა რითი დაეკმატებინა უველათხოვნა მსესხებელთა შეიტანა სასარგებლოდ ს ა მ ა ს ი მანეთი 4%. ონის ამხანაგობამ დაიწერ თავისი მოქმედება მხოლოდ იმ წილის უულით, რაც მოგროვდა ამხანაგობის წევრთავან. წინ დაწეულითი სესხი არ აუდია. ამიტომაც ეს სამასი მანეთი დიდი შემწეობა იურ ამხანაგობისათვის. უოველ შემთხვევაში ჩვენ ვისურვებთ, რომ ამ ამხანაგობას უდროოთ ბოლო არ მოეღოს, სხვა არა იურს რა სირცხვილი დაგვემართება, — და ეს უფრო სამწუხარო იქმნება ერთი შით, რომ გამგებლობას შეაღვენებ გარები გამოცდილი და მცოდნე ზირნი, რჩევას

აგრეთვე; მეორე მით, რომ საზოგადოთ ის წევრნიც, რომელთანაც შესდგება თვით ამხანაგობა, გონების განსხილობით უფრო მაღლა სდგანან, ვიდრე სხვა სოფლები. ამათ რიცხვში ურევიან: ვაჭრები, ჩინოვნიკები, მოხელეები და გლეხებიც იმისთანანი, რომელთაც სხვა ქალაქები უნახავთ, თვილისში, ქუთაისში ფორმი და სეხვაგან უმუშავნიათ, უცხოურნიათ და ამის გამო მიხედრილნი არიან. მე ვალად გსოვლი შევნიშნო ისიც, რომ უმეტესი ნაწილი ამხანაგობის წევრნი დიდათ უქმაუფილოთ არიან, რომ არმა გამგებლობის წევრთა თავიანთათვის კი ჩქარა გაიხსნეს ნდობის გზა სესხის მისაცემად, მაშინ როდესაც ნდობის თხოვნის სიაში მრავალი გლეხნი არიან ჩარიცხულნი და ერთ თვეზე მეტია წილის ფული შეტანილი აქვთ და სესხი კი ჯერ ვერ მიუღიათ. ამ გარემოებას უფრო ვიდრე რომელსამესხვას შეუძლიან დააფიქსოს ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი და დააშლევინოს თვისი განზრახვა წევრად ამხანაგობაში შესვლისა. მე არ ვსოვლი უადგილოთ გაფიქსენო ის გარემოებაც, რომ ამ ამხანაგობის საქმის წინ წასვლისათვის მოწინააღმდეგებს ბევრს ვერდავთ და ის კი არ ვიწი, საფუძველი რა აქვთ ამ წინააღმდეგობისა. მათ შორის მივათითებულ ეს. ეარამან ჯაფარიძეზე, რომელიც თვითონ ამხანაგობის წევრია. რათ ისურვა ამ დალოცვილმა ამხანაგობის დამფუძნებელთ წრეში გარევა, თუ ამას უხეირო, ანუ საზარალო საქმეთ ჰსოვლიდა. ნეტა მითხრა რა მიუძღვის წინ, რომ ხმა მაღლა ურჩევს გლეხ-გაცო ამხანაგობაში მონაწილეობას ნუ მიიღებთო, უკულები შეგვებათო; თუ გადასაურევი ფული გაქვთო, აი გლოხებს დაურიგოთ. უფ. ეარამან ჯაფარიძე! თუ თქვენ გაქვთ საფუძველი, რომ ამხანაგობის საქმე ცუდათ მიდის, თუ თქვენ, რომელსამე გამგების წევრს, არ რჩევისას სანდო შირათ არა ჸსოვლით, ის არა სჯობია გამოაწადოთ კრებაში და დაამტკიცოთ. იმ მავნე პირთ მოვიშორებთ და საქმეც საქმეთ წავა. თუ თქვენი მისი გემინიანთ, რომ მართალს აზრს ვერ გაიუვანთ კრებაში (თუმც სცდებით ამაში) — გარნა ამის წამლად გლეხებს ნუ კი უძლით ამხანაგათ შემოსვლას, პირიქით ურჩიეთ და შეიძინეთ მომხრეთ უმრავლესობა. ზურგთ-უკან, დაფარულად მოქმედობა უკადრისა.

ქეგლეველი გლეხი.

რაჭა ამას წინეთ გწერდით კარგს მოსაგალზე და გაშბობდი დარები გვეტივრება მეთქი. სურვილი აგვისრულდა, მაგრამ გადააჭარბა უზომოთ. აგვისტოს შირველს რიცხვებამდის საშინელი სიცხეები დადგა და სიმინდის მოსაგალი, გვალვის გამო, ხელიდამ წაგვივიდა. ღვინისთვისაც საშიმარი იქნებოდა, რომ აგვისტოში მაინც არ მოსული წვიმა. ამასთანავე უველავე უსაშინელესი სტუმარნი ეწვიენ რაჭას საქონლის ჭირი და მუცელებითილი; მცირადდა მოისობა სოფელი, რომელშიდაც არ იხოცებოდეს საქონელი ჭირისაგან და ადამიანი მცენლებითილისაგან. გლეხებს შიში ათრთოლებს, ზური სალეწავია, უანები დასახნავია, საქონელი, ომიანობის მიზეზით, მცირია. ამავე ომიანობას აბრალებს ილაჯ გაწვეტილი გლეხი-გაცი საქონლის ჭირსაც. ამ ზაფხულზე გაუწვეტლად მოჟავდათ მინდვრებიდან, მამირონის მთით რაჭაზე, ოზურგეთისკენ, დიდმალი საქონელი და ცხენები. ამ ჯოგბში ჭირისაგან დახოცილი საქონელი რჩებოდა სამოვრებზე, რომელზედაც გავლით იდგომილებოდნენ ხოლმე. ამ საქონელს დროზე დამშარებელი არ უწნდებოდა და შეგეგი ამისი ეხლა უველასათვის წხადია. გვეგონა რაჭაში ომი ბევრს არას გვაზარალებდა, მაგრამ რა გაეწეობა. თუ ადმინისტრაციამ ან სხვამ ვინმე, ვისზედაც ეს არის დამოკიდებული, რაიმე ზომა არ მიიღო ამ უშველებელის უბედურების შემსუბუქებისათვის, რაჭას საგაისოდ შიმშილობა მოელის. ამას წინეთ გლეხ-გაცს ოქროს ფერ-უანების მაურებელს, ნირმცინარედ, დიმილ მოუშორებელათ ვხედავდით; ეხლა კი თავ ჩადუნული ღრმათ ჩაფიქრებული დადის. განა, რომ გულ დახათუთქავია, როცა ხედავ ამ გვარს გაჭირვებას და შველა კი შენს ხეთ არ არის!..

ქაველის გლეხი.

**კავთისხვი.** 31 მკათათვეს კავთისხვის სასამართლო კანცელარიასთან შეერებული წალხი და ერთი ახირებული ეავანი გაემართათ. როგორც შემდეგ შევიტე შეოლის თაობაზე ჭკონიათ მოლაპარაკება. ვიდრე მამასახლისი მაზრის უფროსის ბრძანებას ხალხს გამოუწადებდა შეოლისდარწებისთაობაზედ, კავთისხვის მდგრელი, როგორც მითხრეს, დავით იასონის მებარნაბისშვილი, ხალხში დადიოდა თურმე

და ჩუმათ ასე არიგებდა: „რად გინდათ იმისთანა შეოლა, რომლისთვისაც საჭირო იქნება უქმედლათ ბაღი, კარგი შენობა და მასწავლებლისთვის ორმოცამდინ თუმანი ფული? თქვე ბედოვლათებო, შეოლა არ არის მე მაქეს—არც ფული გაგდით მასწავლებლისთვის, არც ბაღია საჭირო და არც შენობა თქვენ იმ შეოლის შენობის მაგივრათ-რო მე ამიმენოთ სახლი ამას არა ემჯობინება რა, მაშინ სულ მთლათ განთავისუფლებული იქნებით ეოველის ხარჯისგან: თქვენთვინ შეოლაც გექნებათ და მასწავლებელიც გეუოლებით; მე მგონია ვინც უნდა მასწავლებელი მოვიდეს მე ვერ მაჯობოს—მე დღეს კაცი „კურხოვნიკი“ მღვდელი ვარ, მე ვინ წამამიღვება წინა! თქვენ სრული უარი ეხლავ უნდა გამოუწეადოთ, თორე მერე რა კი დაგიმტკიცდებათ თქვენი ნათქვამი, ვეღარას უქველით“. ეოველს ჯგუფს გლეხებისას სიტევა-სიტევით ამას უქადაგებდა თურმე და სამწუხაროდ ამ გულშემატებივარმა მღვდელმა ისეთი გავლენა იქონია ხალხზე, რომ სულ მთლათ გადარია. მამასახლისმა რომ გამოაცხადა მაზრის უფლოსის ბრძანება, ხალხმა არც კი დააცადა—ერთ ხმად წევარივით დაიბდავლა: „არ გვინდა შეოლა, შეოლა არ არის გვაქეს, ამაზე უპეტესი შეოლა ჩვენთვინ რა საჭიროა—ჩვენ ბაღისა და შეოლის შენების გაკეთებისა თავი არა გვაქეს—ან მასწავლებელს საიდან უნდა გაძლიოთ ჯამაგირი? უფასო მასწავლებელი არ გვირჩენიან. თუ ჩვენ ფული გამოგვივა, იმ ფულით ჩვენ მღვდელს ავუშენებთ სახლსა.“ ამ ღრთს სოფლის მწერალმა შენიშნა, რომ ეს სულ მღვდლის დ. ბარნაბოვის ბრალიაო და მღვდელი სახალხოთ დაითხოვა, სოფლის მოხელეთა თანხმობით, ხალხის ერილობისაგან. წამდანდა შინ ეს სახელოვანი მღვდელი. შემდეგ შეოლის მზრუნველო, მწერლისა და მამასახლისის თანაშემწერით, ხალხს დაუტყობისა და საჭიროებისა და საჭიროებისა—ხალხს დაუტყობით, ხალხს დაუტყობის აუცილებელი საჭიროება ამ სოფლიში შეოლისა—ხალხი შემდეგ დაშოშმანდა. რამდენიმე კაცმა წარმოსთქმა, რომ ეს არეულობა მღვდლის ბრალი იყო, „თორემ ჩვენ ეგრე ღმერთი როგორ გაგვიწერებოდათ, დაუმატა ერთმა ხანძი შესულმა კაცმა, რომ ჩვენთვინ ავი და კარგი ვერ გავარჩიოთ.“ ხალხმა მოინდომა კავთისხევში შეოლის დაარსება და თამამათ უოვლის დაუბეოლებლივ მოაწერა ხელი იმ განაჩენს, რომელიც ამის თაობაზე შესდგა და შემოწმებული

მამასახლისისაგან და მსაჯულებისაგან გაიგზავნა მაზრის უმფროსთან დასამტკიცებლათ.

1877 წ. მარტის 4-სა დღეს.

იდლელი.

## ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

ჩვენის მხედრობის უმთავრესი მალი ახალს ადგილას დაბანაკებულა ქურუქ-დარიდამ მოუღლებული უხ-ტანამდე. კარაიალი და უხ-ტანა ჩვენს მიერ გამარტებული არიან. მის იმპერატორის უმაღლესობის უმთავრესი სადგურიც იქ არის თურმე. მუხთარ-ფაშის მხედრობა ალაჯის მთიდამ გამოსულა და დაბანაკებულა ვიზიდტანიდამ და ინახ-ტექესიდამ სობოტანისა და ხაჯიგალამდე.

— 12 მარიამობისთვეს, ერევნის გუნდის ერთს წეობას ოსმალოს ჯარი დასცემია, მაგრამ ვერა გაუწევიათ რა. 15-ს ოსმალოს ჯარი ხელმეორედ დასცემია, მაგრამ ჩვენებს გაუმარჯვინიათ და მტერი, რომელსაც ოთხსასი კაცი დაპხოცია, უკანვე გაუბრუნებიათ. ჩვენ მხრივ მცირე ზარალია თურმე.

12-ს ოსმალები მეორე წეობასაც დასცემიან, მაგრამ აქაც ვერა გაუწევიათ რა.

— 12 მარიამობისთვეს ოსმალები ქობულეთის გუნდის მოწინავე ჯარს დასცემიან, მუხა-ესტატეზედ მდგარსა. ფხარის ბრძოლის შემდეგ ჩვენებს ოსმალები გაუდევნიათ. ჩვენის მხრით 21 ჯარის კაცია მკვდარი; დაურილთა შორის ზირუტევთ ქიმი ლუბანსკია და 24 ჯარის კაცი.

— 16 მარიამობისთვეს, ღენერალის ალხაზოვის მოწინავე ჯარი 800 ხაჯენის სიახლოეზედ დამდგარა იმ სიმარტების ზირ-და-ზირ, რომელიც ოსმალების მიერ არიან აშენებული სუხუმის წინ. ოსმალებს ზარბაზნები უსროლიათ და ჩვენის მხრით ოთხი კაცი დაუშრიათ.

— 12-ს და 14-ს ამ თვეს კურინსკის ზოლება და ზოლეონიკის ნაკაშიძის ჯარს ვეღენში იშევრის აჯანებული მწოვრებნი დაუმარწებია. თუმცა აჯანებულთ ბევრი ზარალი მისწევიათ, მაგრამ მაინც დამორჩილება არ უნდათო.

— თერგის მაზრაში, 18-ს ამ თვეს, დექემბერის სექტემბერისა და ზოლეონიკის ბატიანოვის ჯარს სრულიად აუთხრებია ერსენისა და ზანდაკის აულები და აჯანებულთა ორი გუნდი დაუმარწებია.

— 18 მართიამობისთვეს ოსმალები რუშების გუნდის მოწინავე ჯარს დასცემიან სოფ. გარახანსახანსკიოს ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარი იმულებულ გამხდარა ისევ ბანაქში დაბრუნებულიყო. ჩვენის მხრით დაჭრილთა რიცხვი 400-მდეა.

— 13 რუშებიდამ რგა თხმალოს ბატალიონი გამოსულა და ჩვენი მოწინავე ჯარი კადიკოდაშ გაუდევნია, მაგრამ ჩვენებს ახალი ჯარი მიჰშველებია, და კადიკო ხელახლად ჩვენებსავე დაუჭრიათ.

იმავედღეს პლევნაშიაც ეოფილა ბრძოლა, როგორც ეტეობა გაცხარებული, რადგანაც რუსებს 600-მდე დაჭხარალებიათ (მოკლელი და დაჭრილი). ამ თმში ოსმალები დასცემიან, მაგრამ რუსებს იგინი გაუფანტვიათ.

— 20-ს ამ თვეს დექემბრის აღხაზოვს სოხუმი დაუჭრია, საიდამაც წინაღმებს ოსმალოს ჯარი გასულა, ხომალდებში ჩამსხდარა და იქაურობისათვის თავი დაუნებებია. ორთა მებრძოლთა მხარეს რასაკვირველია სროლა ჰქონიათ. ჩვენის მხრით 8 მოკლელი ჯარის კაცია და 49 დაჭრილი. ზოგს აფხაზებს თოფიარადი დაუქრია და ჩვენებს დაჭმორჩილებია, ზოგიც თხმალეთა გადასახლებულა.

— იმ თმში, რომელიც 19 აგვისტოს გაიმართა შლევნასთან, დაჭრილთა შორის ჩვენის მხრით 40 აფიცერიდა 1,020 ჯარის-კაცი მკვდარია და დაჭრილი.

— ტუილისში დებემბა მოვიდა რომ ტიერი უკრად გარდაცვლილათ.

### საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** მალიან ცედ გუნებაზე უნდა დაბრუნებულიყო მაკ-მაგონი ნორმანდიიდამ. თუმცა თვითციალური გაზეთები ხმა-მაღლა ჰქონიან, რომ ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება მაკ-მაგონსაო, მაგრამ უკეთა კორტესხნდგნტები ამბობენ, რომ მაკ-მაგონს ხალხი მიეგებულოდა ხოლმე თურმე მახილით: „რესტუბლიკას გაუმარჯოს.“ საწეალი მაკ-მაგონი! გინ იცის გულში რა რიგად იუვედრება, — ამ მინისტრებმა რა ეოფაში ჩამაგდესო, თვითონაც არ იციან რა უნდათო

ამ მინისტრებს ეტეობათ თვითონაც სასოება დაჭმარგვიათ თავის საქმისადმი. ერთი ამბობს მე კლერიკალობა არა მწამსო და კლერიკალების

საქმე და ჩვენი საქმე სულ სხვა არისო. ამაზედ კლერიკალები რასაკვირველია განცვიფრებული არიან, რადგანაც აქამდისის უკელა დარწმუნებული იქო, რომ კლერიკალობამ ამოქმედა მაკ-მაგონი 16 მაისს, და ქელა მისი მინისტრები მაღლს ასე უხდიან. მეორე მინისტრი ამბობს, რომ ჩვენი საქმე რესტუბლიკის დაცვა არისო და მაკ-მაგონმა მხოლოდ წესიერება დაიცვაო, რომელსაც ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობა ემუქრებოდა. უკელა ამ გვარი ლაპარაკი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თვითონ მინისტრები დარწმუნებული არიან, რომ დამარცხებული გამოგლენ მათ მიერ ატესილის ბრძოლიდამ და დიდობების სრულიად თავი არ შეიორცხვინონ და მომავალ არჩევანში ცოტა რამე ირგუნონ მაინცა.

— ზარიქში ხმა გავარდნილა ვითომ არჩევანი 23 სექტემბერს მოხდებათ და არა 14 ოქტომბერსაო, როგორც წინად იქო ნათქვამი. რესტუბლიკელთათვის ეს რასაკვირველია სულ ერთია, რადგანაც მათი ერთობა და მტკიცე იმედი მომავალზედ უმტკელია.

— მთავრობას გადაუწევეტია გამბეტის დასჯა იმ სიტევისათვის, რომელიც წარმოუქმნა მან ლილში. ბევრჯელ წარმოუქმნებას გამბეტას ამისთანა სიტევა, მაგრამ ეხლა მთავრობას მით სარგებლობს, რომ გამბეტა დებუტი ადარ არის და სრული უფლება აქვს დასჯისა.

**ავსტრი-ვენგრიას.** ავსტრი-ვენგრიას დიდმალი ალაგი ერგო აწინდელს პოლიტიკაში. ეს გარემოება სხვათამორის იმაზედ არის დამეარებული, რომ ავსტრი-ვენგრია სხვა და სხვა ტომის სალხთაგან არის შემდგარი, რომელთაც აწინდელი ომიანობა სხვა და სხვა იმედს უდიმებს და მომრაობაში მოჰქმდებს. მრავალს ადგილის თავს იურის ხალხი ავსტრი-ვენგრიაში, და უკეთა აღმოსავლეთის ომიანობის თაობაზე თავის საკუთარს დარდსა და გულის წადილს აწეადებს. ვენგრიულებმა, ხორგატებმა და სხვა უკელამ ისარგებლა აღმოსავლეთის საქმით და გააგონა მთავრობას თავისი აზრი. რიგი მთავრობა ავსტრი-ვენგრიაში სოლიაკებსაც, რომელიც გალიციაში სცხოვრებენ. ბოლაკების როლს აღმოსავლეთის საქმეში შემდეგში გამოვიყვალეთ თუ შეძლება მოგვეცა, მანამდე გი მოგახსენებთ, რა ადრესი მიართო გალიციის

სეიმმა აფსტრიის იმპერატორს. ამ ადრესში სხვათა შორის მოხსენებულია მაღლობა ზოლიაკის გვარ-ტომობის დაცვისათვის და აგრეთვე ზოლიაგურის ქის ხმარებისათვის სახუავლებელში და სხვა და სხვა სასამართლოებში. „ჩვენის ქვეუნის მაღლობაო, — ამბობს ადრესი, — მით უფრო გულწრფელია, რომ . . . . . გალიციას უპერია უძვირფასენი უფლებანი გვარ-ტომობისა გალიციის წარმომადგენელთ ერველთვის სურდათ, რომ კანონ-მდებლობითი და ადმინისტრატიული თვით მმართველობა უფრო გამლიერებულიყო; იგინი ცდილობდნენ თავის ქვეუნის საისტორიოს, საგვარტომოს და საეკონომიო სარგებლობის დაცვას, რომლის მალით გალიციას განსაგუთრებული ადგილი უჭირავს მონარხიაში. ჩვენ არ გვეწიან როდესაც გალიციას ჩამოყროთ უბირატესობა, რომელიც შეადგენდა მის თვითებას— ხოლო ჩვენ გვეცნია, რომ მთავრობა არა გაწეულობს, და აი, ეს გვაწუხებს მხოლოდ.“

„უშიშრად შევეურებო ჩვენ აწინდელს მძიმე სანოლიტიკო საქმეებს. ჩვენ გვსურს, რომ მლიერმა იმპერატორის სიტევამ მტეიცე გავლენა იქონიოს საქმეთა მიმდინარეობაზედ. მხოლოდ მაშინ დაარსდება ხანგრძლივი მშვიდობიანობა და თანახუალობა როდესაც ეველა ტომის ხალხს ერთგვარი უფლება მიეცება.“

„ზოლიაკის ტომი საუკუნების განმავლობაში იბრძოდა წარმატებისათვის, განათლებისათვის და თავისუფლობისათვის. ასმა წელიწადმა გაიარა მას აქედ, მაგრამ ხალხს თავისი სიცხოველე არ დაუკარგავს, და ენდაც იმ აზრისაა, რომლისათვისაც ამოდენა მსხვერპლი დაუდვია. ჩვენი ქვეუნი დიდის აღტაცებით მიეცება იმ გამლიერებას, რომელსაც აფსტრია დაუძებს გარეგან ზოლიტიკაში“.

**სერბია.** — აფსტრიის ზოლიტიკა იმდენად გამოიწვალა, რომ არას ნაღვლობს, მიიღებს ხერბია ომში მონაწილეობას თუ არა. აფსტრია, რასაკვირველია, დაწმუნებულია, რომ რაც უნდა მოხდეს სერბია ვერას გაიტანს, მეტადრე აფსტრიისას. მაღმალ ისმის, რომ სერბია ომისათვის ემზადებათ.

აი რას იწერება **Сѣверный Вѣстник**-ის კორესპონდენტი ბელგრადიდამ: „დენერალის ფადე-გვისა და ხიტროვოს მოსვლა ცოტად თუ ბეგრად გვიმტკიცებს, რომ სერბია ომში ჩაერეგა. მნელი

საფიქრებელია, რომ დენერალი ფადე-გვი მხოლოდ სანოლიტიკო განხრახვით იქმოს მოსული; უფრო საფიქრებელია, რომ თუ ომი ატერა დენერალი ფადე-გვი იმ თანამდებობას დაიჭირს, რომელიც შარშან ჩერნიაევს უჭირა. თუ ასე მოხდა, მაში სერბიას კარგად ვერ უგრძნია თუ რას ნიმნავს უცხოეთელი მთავარ სარდალი. მაგრამ იქნება ეხლ-სარდალს ის მალა მისცენ ხელში, რა მალაც ეპერა ჩერნიაევს შარშან დელ ომში. თვითონ ფადე-გვმაც, თუ ჭევიანი კაცია, არ უნდა იკისროს ეს თანამდებობდა. დაე, საქმე თვითონ სერბიელებს მიენდოთ. სერბიელებს თუ დენერლები არა, კარგი ზოლკოვნიკები და ზოდპოლკოვნიკები ხომ ჰეავთ, რომელნიც დენერლებს არ დაუკარდებიან.“

### თელავის სასულიერო სასჯავლებელი და მისი ილაშის სამღვდელოთ ყრილობა ქ. თელავში

(ქემდება) (\*)

უხესა მოხსელობის ყოველი, იტილი კინც თორულია, სმა-ჭამა დადა შესაძრი, დება რა საფარის გვლა? რასაცა გასცემ შენა, რაც არა-დაკარგულია.

ჰუსტველი.

სამღვდელოთ ყრილობა 8/9 მაისს 1876 წ. შესანიშნად უნდა დარჩეს 1875 წელიწადი თელავის სასულიერო სახუავლებლის ისტორიაში, რადგანაც დიდი ჩხუბისა და ლანძღვა-თრევის შემდეგ მლიერების მოახერხა ადგილობრივმა სამღვდელოებამ მოხამზადებელი კლასის გახსნა. ამას, რასაკვირველია, შესაფერი მნიშვნელობა ექმნება სამღვდელოთ განათლების ისტორიაში, მაგრამ მაინც უნდა ვსთვავთ, რომ აღნიშნულის მოხამზადებელის კლასის დაარსებით სამღვდელოებამ წადგა წინ მხოლოდ ერთი ბიჯი, თუმცა ამით მაინც არ შეუსრულებია მას ეველა ის მოგადეობა, რაც ზურგზედ აწევს ეველა კეთილ მზრუნველ მშობელს თავის შვილების აღზრდაში. სამღვდელოებას უნდა ცნობნოდა, რომ ამის შემდეგაც მათის შვილების გონიერითი გაუკეთესება მოითხოვდა მათვან სხვა შემწეობას—შეწირულობასაც, რომელზედაც ისინი უარს ვერ იტეოდნენ, თუ რომ თავიანთ შვილებისთვის

(\*) „ვერა“ № 25.

- 1) მოსამზადებელი ქლასის მეორე უმაღლესი განერაციულების გახსნა,

2) სანსიონის დაწესება სახწავლებელთან,

3) სახწავლებლის ეზოს შემოზღუდვა გადაჭირება

და

4) სახწავლებლის შენობის განშვენება.

დანიშნულს ექსარხოსისაგან რიცხვს, 8 მაის 1876 წ გამოსცხადდება 15 დეკემბრი. თავმჯდომარევ, კანონისამებრ, ამოირჩივეს კვარლის მღვდელი მისეილ ვარდიევი, ხოლო საქმის მარტოვებლად მდ. მ. ხელავი. ზემორე აღნიშნული საგნები ერილობამ განიხილა 8-ს მაისს ვე, თუმცა ვერაფრით მაინც ვერ დააბოლოვეს. რომ წარდგენილნი საჭიროებანი დირსნი იყვნენ აღსრულებისა, ამის წინააღმდეგ თითქმის არცერთს დეპუტატს ხმა არ ამოუღია. საუბარი იმაზედ იქმო, თუ რა წეაროდგან შევსწიროთ საჭირო

ფულით. ორი დღის 8 და 9 მაისის განმავლობაში ამაზედ ჭრის დასრულდა ბასი. ამ ბასის დროს სახურის განვითარების სასარგებლოდ და სახოგადოდ გონივრულად და წინდახედვით ლაპარაკობდნენ მდგრდები: პ. შიუქოვი, მ. გარდიევი, მ. მირიანოვი, გრ. თუშუროვი, ი. მრევლოვი და განსაკუთრებით შირველი ამათგანი; შეიძლება ვსოდეთ, რომ ამას რომ იმ ხალისით და ერთგულებით არ ელაპარაკნა ამ ერთობაში, იქნება ამ ერთობას სულ უქმად ჩაევლო. ამის აზრი ის იქო, რომ მღვდლებს ერთი მესამედი ნაწილი თავიანთ ჯამაგირიდგან შეეწირათ სახურის განვითარებისათვის. ამის უსაფუძვლო მიწინააღმდეგებ გამოხნდნენ გ. მრევლოვი და სუ. ფირანოვი. თუ ვისმე არ უნდა ამოედო ხმა სახურის წინააღმდეგ, მე ვვონებ, უმეტესად ამ აღნიშნულ მდგრდებს, იმიტომ რომ ესენი თუ თავიანთ მოსაზრებით ვერ დააფისებდნენ აღნიშნულის შეწირულობის სიკეთებს და სარგებლობას, თავიანთ ნათესავ ბლადობინებისაგან მაინც გაგონილი ქმნებოდათ გონიერი სიტყვა სახურის შეწირულის შეწეობის აუცილებლობაზედ, თავ-გამოდებით ლა- ბარაკობდა უფრო გ. მრევლოვი. (საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ გ. მრევლოვი არის შვილი ბლადობინის დებანოზის ეგ. მრევლოვისა, ხოლო სუ. ფირანოვი არის ხმა ბლადობინისა, ხოლო ფირანოვისა). საზოგადო ხასიათი ამის ლაპარაკისა წინ წარმოგიდგენს მუმუმწოდარა ანუ ახლად ენა ადგ მულს ბალდს, რომელიც აღტაცებაში მოდის იმით, რომ სხვის გაგონილს სიტყვებს იმეორებს კაჭკაჭივით. რასაკერველია ამისთანა პირი უფრო შესაბამისია ვიდეოგასაკიციდა ამასთანაც თვითგან კიცხვაც უქმია, რადგან წინათვე იცი, რომ ჟენი ამ გვარი მოქმედება მისთვის უნაუთლოდ დარჩება. თუ ამისთანა აზრისანი იქნენ ბლადობინების მონათესავე მღვდლები, დარწმუნებულნი უნდა იუვნეთ, რომ სხვები უფრო მცირე თანაგრძნობას გამოაჩენდნენ. მაინც უველა დებუტატები გაიუვნენ რას ნაწილად: ერთს იმათგანს პსერდა შიეღო ეველა ხარჯი, რაც კი დასჭირდებოდა სახურის გენერალს, ხოლო მეორე უარტედ იდგა. შეიქნა ჩეუბი, ევანი, ევირილი ამ ორ მხარეს შეა. მაგრამ უბედურება ის იქო, რომ საქმე მაინც არა თავდებოდა არც კარგად და არც ავად, თუმცა ორი დღე იუაუანეს ზემორე აღნიშნულ საკედარებების დოლოს თავმჯდომარებ მიიწვია ადგილობრივი ზედამსედველი ერთობის თათხმი იმ აზრით რომ იმის თანა დასწრებით მაინც იწება გარიგებულიერ საშტა. ზედამსედველი

შემოსვლისავე უმაღ ერილობის ოთახში, განერდა ქარებთან გაჩემებული, რადგან ამ დროს მდვრევებს ისეთი ეკირილი და ალიაქოთი ჰქონდათ, რომ ქაც შესზარავდა. ამ მდვრმარეობაში იურ ზედამსედველი იმ დროიმდის, ვიდრემდის დეპუტატებმა ცოტ-ცოტად თვალუერი არ მიაჲრეს ახლად შემოსვლს უწეს ჩირს. როდესაც ცოტად დაწენარდნენ, მაშინ ზედამსედველმა დაუწეო ფეხდგომელამ ლაშარაკი ეველა დეპუტატებს შემდგომის სახით: „მე მგონია, რომ თქვენა მთხოვეთ შემოსვლა თქვენთან მოსალაპარაკებლად რომელსამე საგნებზედ სასწავლებლის შესახებ. მე ამ თქვენს წადილს დიდის სიამოვნებით აღვარეულებ, მაგრამ წინადვე გეტევით, რომ თქვენში ისეთი არეულ-დარეულობა და უწესობა არის, რომ მნელია თქვენთან ახლად შემოსვლა უწეს ჩირმა გაარჩიოს, თუ ვითარი წესიერება არის თქვენში, ვინა გეავთ თავმჯდომარე და რა რიგზედ სინჯავთ სხვა და სხვა საგნებს, რომლებიც თქვენ სასწავლებლის მმართველობამ გადმოგცათ. ამ ნაირი საზოგადო ერილობები, მგონია ეველამ იცოდეთ, მარტო ჩვენში, საქართველოში და სამდვრელოებაში, არ არის; ეს წესი მთელს რუსეთში სხვა და სხვა წოდების ხალხში—გლეხობაში, თავადაზნაურობაში და სხვებში არის შემოდებული. როდესაც ამისთანა ერილობის დროს ირჩევენ თავმჯდომარეს, ეველგან ამას აქვს მინიჭებული შესაფერი უფლება შესახებ წესიერების დაცვისა და საქმეების განხილვისა. თქვენგან თავმჯდომარის უპატიურად მოქცევა არის თქვენივე დამცირება. მგონია თქვენ ამოგირჩევიათ თავმჯდომარედ მდვრელი მ. ვარდივეი, რომელსაც უწესოების მიზეზით, ვერაფრით ვერ დაუბოლოვებია ერილობის განსახილველი საქმეზი. ჩემის ფიქრით კი, ამ საქმეს ჩხუბით და ერთმანერთის ჯიბრობით ვერ გაათავებთ, თუ დაწენარებით და დამშვიდებით არ მოიფიქრეთ ეველა განსახილველს საგანსა. მე რომ ნებას მომცემდეთ თქვენს საქმეში გარევისას, ერთს საათშივე განითავებდით საქმეს, მაგრამ“.... ამ სიტევების შემდეგ ეველა დეპუტატებისაგან მოისმა სურვილის ხმა რომ რიგი ხამოვარდეს და საქმე ჩქარა დაბოლოვდეს და თვით თავმჯდომარემაც სთხოვა ზედამსედველს მონაწილეობა მიეღო ერილობის საქმეების განხილვაში „თქვენ, მგონია, ეველამ იცით, განაგრძო ზედამსედველმა, თუ რა საგნების გულისათვის ითხოვს სასწავლებლის მმართველობა თქვენგანით შეწირულებას. მაინც კიდევ წავიკითხოთ

ხელახლად სასწავლებლის მმართველობისაგან შედგენილი ერთი წლის ანგარიში (1876/7 სამთხველო წლის განმავლობაში.“ კითხვისა და განხილვის დროს ზოგიერთი მუხლები შესცვალეს, მაგ. სქემით იურ დანიშნული ორი ზედამსედველი (ნადვირატე) მოხვალეთათვის და ამათ ჰქონდათ დაღებული 400 ბ. ჯამაგირი. ერილობამ ერთი ზედამსედველი უარ-ჰეთ. საზოგადოდ ერილობას დიდი ცვლილება არ მოუხდენია სასწავლებლის გამგებისაგან წარდგენილს სქემაში; ამისწაკითხვის და შემოკლების შემდეგ, უნდა მოეფიქრნათ იმაზედ, თუ რა წეაროებიდგან შეწიროს საჭირო ფული? სამდვრელოებას უნდა შეეწირნა წარდგენილის საჭიროების დასაფარავად 3,259 ბ. „ჩვენ შევიტეთ, განაგრძო ზედამსედველმა, თუ რამდენი უნდა შეეწიროთ ეხლა თქვენ ამის შემდეგ იმაზედ გმართებთ მოიფიქროთ, თუ რა წეაროებიდგან შევიძლიანთ შეავსოთ ეს საჭიროება. ამასთანავე გეტევით, რომ ამ ხარჯის დასაფარავად თქვენ გაქვთ მხოლოდ ორი წეარო—თქვენი ჯიბედა საკუკლესით ფული. უმჯობესი იქნება შევიტეთ თ ჯერ ის, თუ რამდენს გაიმეტებთ ამ სასარგებლო საქმისათვის თქვენის ჯიბიდგან.“ ამ დროს თავმჯდომარის და ზედამსედველის სტოლის ახლო იდგა ერთი დეპუტატთაგანი, სახელდობრ ი. ბიბილაუროვი, რომელსაც მოუბრუნდა და უთხრა ზედამსედველმა: „ამ, მაგ., მამაო იოსებ, რამდენი შევიძლიან შეწიროს ნახვენების საჭიროებისათვის თქვენის ჯიბიდგან?“ ამ დროს მოისმის ეაგანი სხვა დეპუტატებისაგან, რომელთაც ზედამსედველი სთხოვს სიჩუმეს, რადგან იმათი ლაპარაკის ჯერი ეხლა არ არის და თავის დროზედ კი შეუძლიანთ რაც უნდათ, ის სთქვან.

— თქვენ რას ბრძანებთ, მამაო იოსებ, — გაუმეორა კითხვა ზედამსედველმა. — მე იმ შვიდ მანეთზედ მეტი (იხილე აღწერა სამდვრელოთ ერილობისა, რომელიც იურ 1875 წ 19 სეპტემბერს) არ შემიძლიან შეეწირო. რომელსაც მე შარმანდლიდგან გწირავ, მიუგო მდვრელმა,

